ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 424

"23" დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ქონების მართვის სააგენტოს" 2013 წლის 1 მაისის №E-191-14-7277 გადაწყვეტილებით, ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გამართულ №191 ელექტრონული აუქციონით შპს ,,ვაკის-პარკისათვის" (ს/კ №406089414) განსაზღვრული ვალდებულებების (პირობების) დარღვევისათვის დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემისა და ამავე აუქციონის შესაბამისად, თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებისთვის (შპს ,,ვაკის-პარკი") შესაბამის ქონებასთან დაკავშირებული პირობების შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №380 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ.ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №380 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ქონების მართვის სააგენტოს" 2013 წლის 1 მაისის №E-191-14-7277 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გამართული №191 ელექტრონული აუქციონით შპს ,,ვაკის-პარკისათვის" (ს/კ №406089414) განსაზღვრული ვალდებულებების (პირობების) დარღვევისათვის დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე და შეიცვალოს თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებისთვის (შპს ,,ვაკის-პარკი") შესაბამის ქონებასთან დაკავშირებული პირობები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 30 სექტემბრის №39.12.1125 და 2016 წლის 21 დეკემბრის №49.07.1012 განკარგულებების შესაბამისად".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**